პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის მსურველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის

2022 წლის მიღება:

2 მაისიდან -22 აგვისტოს ჩათვლით

ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტი?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი არის პირი, რომელსაც აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მდგომარეობა ან მათი კომბინაცია:

- ✓ ინტელექტუალური ან სწავლის გამოხატული სირთულეები
- ✓ სმენის დარღვევა (დაქვეითებული სმენის მქონე ან ყრუ)
- ✓ მხედველობის დარღვევა (მცირედმხედველი ან უსინათლო)
- ✓ ქცევითი და ემოციური სირთულეები
- ✓ ფიზიკური განვითარების დარღვევა/მოტორული შეზღუდვა

როგორ მოვხვდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება მაქვს?

ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის (შემდგომში სსსმ აპლიკანტი).

თითოეული პროგრამის ფარგლებში, სსსმ აპლიკანტებისთვის განსაზღვრულია გარკვეული რაოდენობის თავისუფალი ადგილი - სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება იმ პროგრამის ფარგლებში სსსმ აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას შესაძლოა განსაზღვრული ჰქონდეს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

გასათვალისწინებელია, რომ სსსმ აპლიკანტებისთვის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული თავისუფალი ადგილი, შესაძლოა არ იყოს გამოყოფილი ე.წ. დუალური პროგრამის ფარგლებში (ინფორმაცია ე.წ. დუალური პროგრამის შესახებ მოცემულია ქვემოთ).

რა ტიპის პროგრამები არსებობს პროფესიული განათლების სისტემაში?

პროფესიული განათლების სისტემაში არსებობს 3 ტიპის - საბაზო პროფესიული, საშუალო პროფესიული და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

1. **საბაზო პროფესიულ** საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;

2. **საშუალო პროფესიულ** საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა. ამასთან, პირს, რომელიც ფლობს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, შეუძლია ჩაირიცხოს ისეთ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ე.წ. ინტეგრირებული პროგრამა). აღსანიშნავია, რომ *ინტეგრირებული პროგრამის* დასრულების შემდგომ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი, თუ პროფესიული სტუდენტი სრულად დაძლევს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
3. **უმაღლეს პროფესიულ** საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა.

ზოგიერთი პროგრამა ხორციელდება ე.წ. **დუალური** მიდგომით, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია ინაწილებენ პასუხისმგებლობას სტუდენტის მომზადებაზე და პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში - კომპანიაში.

შემოთავაზებული პროფესიული პროგრამებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სრული ჩამონათვალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდებზე: vet.emis.ge და vet.ge; ასევე, ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით მოქმედ რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში.

როგორ მოვხვდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე?

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებით ჩარიცხვის მიზნით, საჭიროა რეგისტრაცია და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ეტაპის/ების გავლა:

- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის (გარდა დუალური პროგრამებისა).
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის.

ე.წ. დუალური სწავლების ფორმით პროგრამის განხორციელებისას სტუდენტს ერთობლივად არჩევენ საგანმანათლებლო დაწესებულება და დამსაქმებელი - კომპანია.

სსსმ პირების რეგისტრაცია სტანდარტულად ხორციელდება პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადებში - 2 მაისიდან - 22 აგვისტოს ჩათვლით. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ონლაინ შემდეგ ვებგვერდზე - vet.emis.ge. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან და ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, დაინტრესებულ პირს შეუძლია მიმართოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრებს. vet.emis.ge:

სხვა აპლიკანტების მსგავსად, სსსმ აპლიკანტს რეგისტრაციისას ეძლევა 3 პროგრამის მონიშვნის შესაძლებლობა. **რეკომენდებულია,** სსსმ აპლიკანტმა გამოიყენოს 3 პროგრამის არჩევის შესაძლებლობა, რადგან იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა სსსმ აპლიკანტებისთვის განსაზღვრულ თავისუფალ ადგილზე მეტი იქნება და აპლიკანტი ვერ ჩაირიცხება მისთვის სასურველ პროგრამაზე, რამდენიმე პროგრამის არჩევანის შემთხვევაში, მას შესაძლებლობა ექნება ჩაირიცხოს წინასწარ მონიშნულ სხვა რომელიმე პროგრამაზე, რომელზეც თავისუფალი ადგილი იქნება.

როგორ დასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?

აპლიკანტმა, რომელიც მიიჩნევს, რომ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, vet.emis.ge პორტალზე ონლაინ რეგისტრაციის გავლისას უნდა მონიშნოს სარეგისტრაციო გრაფაში მოცემული ველი **„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი“**. სსსმ პირის სტატუსით დარეგისტრირებულ აპლიკანტს, სტატუსის დადასტურების მიზნით, რეგისტრაციის გავლიდან დაახლოებით 5 სამუშაო დღის ვადაში დაუკავშირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის

წევრი და უზრუნველყოფს აპლიკანტის შეფასებას. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებული აპლიკანტის შეფასების დასკვნა განთავსდება სარეგისტრაციო სისტემაში.

გასათვალისწინებელია, რომ თუ პირს რეგისტრაციის გავლამდე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ უკვე დადასტურებული ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და შეფასების დასკვნის მომზადებიდან არ გასულა 3 წელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით განმეორებითი შეფასების განხორციელების აუცილებლობა არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით შეფასებას.

როგორ ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების შერჩევის პროცესი?

სსსმ პირთა შერჩევა წარიმართება დაწესებულებების მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.

დაწესებულებამ სსსმ აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი შესაძლებელია განახორციელოს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდშიც.

რეკომენდებულია, რომ სსსმ აპლიკანტმა პრაქტიკული მოსინჯვა გაიაროს რეგისტრაციისას მონიშნული ყველა პროგრამის ფარგლებში, რადგან, თუ აპლიკანტი ვერ ჩაირიცხება ერთ რომელიმე პროგრამაზე, ის შეძლება ჩაირიცხოს იმ სხვა პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც გავლილი აქვს პრაქტიკული მოსინჯვა და რომელზეც სსსმ აპლიკანტებისთვის დარჩენილია ვაკანტური ადგილი.

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ აპლიკანტი მონაწილეობს ე.წ. დუალურ პროგრამაზე შერჩევის პროცესში, მისი შერჩევა საგანმანათლებლო დაწესებულების და დამსაქმებელის - კომპანიის მიერ ერთობლივად ხორციელდება.

რას გულისხმობს პრაქტიკული მოსინჯვა?

პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს აპლიკანტის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას და ინფორმირებული და მისთვის საუკეთესო პროფესიული არჩევანის გაკეთებას.

მაგალითისთვის, თუ პირი დარეგისტრირდა თმის სტილისტის პროფესიულ პროგრამაზე, მას შესაძლებლობა ექნება პრაქტიკულად გამოსცადო აღნიშნულ პროფესიასთან დაკავშირებული რამდენიმე ტიპური აქტივობა (მაგ.: თმის შეჭრა, დავარცხნა, საღებავის მომზადება და სხვა). აღნიშნული პრაქტიკული მოსინჯვა ყველა იმ პროგრამასთან მიმართებით ხორციელდება, რომელიც პირმა რეგისტრაციის დროს შეარჩია. პრაქტიკულ მოსინჯვას უზრუნველყოფს ის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც დარეგისტრირდა აპლიკანტი. პრაქტიკული მოსინჯვის ზუსტ თარიღს და დროს აპლიკანტს შეატყობინებს იმ დაწესებულების/ების წარმომადგენლები, რომელშიც დარეგისტრირდა აპლიკანტი.

ქართული ენის გარდა, შესაძლებელია თუ არა პროფესიული ტესტირების/შერჩევის გავლა სხვა ენაზე?

ქართული ენის გარდა, პროფესიული ტესტირების/შერჩევის გავლა შესაძლებელია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნულ ენებზე პროფესიული ტესტირების/შერჩევის წარმატებით გავლის შემთხვევაში აპლიკანტი ისწავლის ქართული ენის მოდულს, შემდგომ კი სწავლას გააგრძელებს სასურველ პროფესიულ პროგრამაზე.

თუ ვერ მოვიპოვე სტუდენტის სტატუსი, რა დამატებითი შესაძლებლობა მეძლევა?

ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ, დაწესებულება, რომელსაც დარჩა სსსმ პირებისთვის თავისუფალი ადგილები, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში (vet.emis.ge) ასახავს ინფორმაციას ვაკანტური ადგილების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება სსსმ იმ აპლიკანტთათვის, რომელთაც 2 მაისიდან - 22 აგვისტოს პერიოდში გაიარეს რეგისტრაცია, დაუდასტურდათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მაგრამ ვერ მოიპოვეს სწავლის უფლება.

ასეთ აპლიკანტებს, შესაძლებლობა ეძლევათ სარეგისტრაციო სისტემაში (**vet.emis.ge**) ასახულ ვაკანტურ ადგილებზე ხელახლა გააკეთონ არჩევანი (3 პროგრამის შერჩევის შესაძლებლობა). ამ შემთხვევაშიც, დაწესებულების მიერ აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება პრაქტიკული მოსინჯვის გზით, თუ მითითებულ პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტს შერჩევის ეტაპი არ გაუვლია.

პროფესიულ პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩარიცხვის პროცედურა



პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

როგორ ხდება დაფინანსების მოპოვება?

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას, სტუდენტი მოიპოვებს დაფინანსებასაც. კერძოდ, სახელმწიფო სრულად აფინანსებს სწავლას სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, სახელმწიფო დაფინანსება ასევე ვრცელდება კერძო იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ დაწესებულებებში, მინისტრის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული დარგების შესაბამისად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, სტანდარტულ ვაუჩერზე დამატებით გათვალისწინებულია 1000 ლარი კვარტალში. აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერის გამოყენება სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ხდება.

რა ტიპის მხარდაჭერა არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის?

საგანმანთლებლო მხარდაჭერა დამოკიდებულია პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: სასწავლო პროცესისა მორგება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, პირადი ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ორიენტაცია-მობილობის სპეციალისტის მომსახურება, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და სხვა საჭირო მხარდაჭერა.

რა ტიპის საბუთს ვიღებ სწავლის დასრულების შემდეგ?

პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში, გაიცემა დიპლომი. ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში - გაიცემა სერტიფიკატი. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში, გაიცემა ცნობა აღნიშნული მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან და პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში და პროფესიული უნარების სააგენტოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისგან:

გელოდებით და გისურვებთ წარმატებას!